



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე



ბრძანება:ბ49. 4924031001

თარიღი:31/01/2024

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში
შრომით ხელშეკრულებით პოზიციაზე მყოფი პირის (მძღოლი)
კახაბერ ტურაბელიძის მივლინების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტისა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე და 66-ე მუხლების, „პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის #211 დადგენილების მე-3 მუხლისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2023 წლის 20 ივნისის № ბ49.49231713 ბრძანების შესაბამისად, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. **კახაბერ ტურაბელიძე** - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით პოზიციაზე მყოფი პირი (მძღოლი) მივლინებული იქნეს თურქეთში, ქალაქ სტამბოლში, 2024 წლის 6-10 თებერვალს, ს.ს. „თუიაფი“-ს ორგანიზებით, საგამოფენო და კონგრეს-ცენტრში, ფრენჩაიზის გამოფენაზე - Franchise Istanbul Hxpo2024.
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა უზრუნველყოს სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება, მოქმედი კანონმდებლობისა და საქართველოში ს.ს. „თუიაფი“-ს წარმომადგენლობის 26.01.2024 წლის No35-Tif25 მიწვევის შესაბამისად.
3. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ.№11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



